ხაშურის მოამბე

№27(400) 24 ივლისი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰადას მეიცადი სტუმრობდა

ელჩმა სურამში ებრაული სინაგოგა მოინახულა და შეხვედრა გამართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან. შეხვედრას ესწრებოდნენ სურამში ებრაული თემის წარმომადგენლები, ადგილობრივები, შიდა ქართლის „შალომ კლუბის“ წევრები - მაშავის პროგრამების კურსდამთავრებულები.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფუნდამენტური მნიშვნელობა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებს შორის პარტნიორობისას, გამოითქვა სამომავლო თანამშრომლობის იდეები.

შეხვედრას ესწრებოდა მაშავის (ისრაელის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის პროგრამის) საქართველოს ოფისის დირექტორი გიორგი ჟღენტი, რომელმაც ისაუბრა იმ პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ, რასაც მაშავი სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს.

ცოდნა და გამოცდილება, რასაც მაშავის კურსების ქართველი მონაწილეები ისრაელში იძენენ, საქართველოს განვითარებაში ჩადებული ინვესტიციაა, - აღნიშნა ჰადას მეიცადმა.

დაისახა ხაშურის მუნიციპალიტეტისა და „შალომ კლუბ შიდა ქართლის“ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

შეხვედრა შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ინიციირებით მოეწყო. მას სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ხელმძღვანელი - ქეთევან ციმაკურიძე უძღვებოდა.

ბიუროს სხდომა

17 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

ბიურომ იმსჯელა „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხდის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესახებ” ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა დავით კიკნაძემ წარმოადგინა.

ვრცლად სხდომის მასალები იხილეთ საკრებულოს ვებგვერდზე: Khashuri.org.ge

ივლისის ბოლოს ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება

ამ თარიღთან დაკავშირებით, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინიციირებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა აივ ინფექციის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის კომბინირებული სკრინინგი ჩაიტარეს.

ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კომბინირებული სკრინინგ კვლევის ჩატარებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს. კვლევა უფასოა და მისი ჩატარება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში იგება ასფალტი და მიმდინარეობს სანიაღვრეების მოწყობა.

ნაცარგორამდე მისასვლელი გზის მოწყობის პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მისი ღირებულება 1 595 594 ლარია.

რეაბილიტირებული გზით 300-ზე მეტი ადგილობრივი და სოფლის სტუმარი ისარგებლებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების 2023 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში

#	ღონისძიების დასახელება
	ცხრამეხის ბიბლიოთეკა
1	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის აღნიშვნა.
2	ახალი წიგნების გამოფენა
3	დედაენის დღის აღნიშვნა.
4	დედამიწის დღის აღნიშვნა.
5	ჩემი საყვარელი წიგნი (საბიბლიოთეკო კვირეული).
6	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.
7	ღონისძიება „ხილი -ჯანმრთელობის თანამგზავრი“
8	წიგნის ფესტივალი ,,ასფურცელა'' ხაშურში და ჩვენი ბიბლიოთეკის სტუმარი ირმა მალაციძე ბავშვებთან.
9	ნატო კიკაძის შემოქმედებითი საღამო
10	შორენა გორგოძის შემოქმედებითი საღამო
	მინისტარის დასახლების ბიბლიოთეკა
1	საახალწლო ზეიმი “2023”
2	პოეზიის ხუთი წუთი; ანა კალანდაძე -პოეზიის დედოფალი.
3	ნათლისღებასთან დაკავშირებული ღონისძიება.
4	წმინდა ნინო საქართველოში- "მოდიოდა ნინო მთებით"
5	1 თებერვალი, როგორც - წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე.
6	აფხაზეთი და საქართველოს ეროვნული გმირი -ჟიური შარტავა.
7	ტიციან ტაბიძის პოეზიის გარშემო *"მე არ ვწერ ლექსებს ლექსი თვითონ მწერს."*
8	"*ჩვენი უახლესი ისტორიის ფურცლები*"-ვინ იყო ზვიად გამსახურდია
9	14 აპრილი -დედა ენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება: მუსიკალურ ლიტერატურული კომპოზიცია:"*ო ენავ ჩემო".*
10	ახალი საბავშვო წიგნების გამოფენა
11	ხატვის კლუბის ჩამოყალიბება, წრის წევრების შერჩევა.
12	ღონისძიება *-ვინ უკეთ ხატავს;* ანიმეს პერსონაჟები
13	კითხვის კონკურსი დაწყებითი კლასების მოსწავლეებს შორის."*ვინ უკეთ კითხულობს“*
14	ხაშურში დაფუძნებულ წიგნის ფესტივალის, "ასფურცელაში" მონაწილე საბავშვო მწერლების მიღება-მასპინძლობა.
15	წაკითხული წიგნის მარკ ტვენის " *ტომ სოიერის თავგადასავალის"* ამავე სახელწოდების ფილმთან შედარება-გაანალიზება.
16	კითხვის საათი: რობერტ ლუის სტივენსონის" განძის კუნძული"
17	ჭადრაკის კლუბის ჩამოყალიბება. ფილმი ჭადრაკის შესახებ „კატვეს დედოფალი"
	სურამის ბიბლიოთეკა
1	ახალი წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და მათი გამოფენა, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე ბიბლიოთეკის FB გვერდზე.
2	ელექტრონულ კატალოგებზე მუშაობა, რუსულენოვანი ლიტერატურის ელექტრონული კატალოგების შედგენა.
3	პოეზიის დღეებისა და გამოფენების მოწყობა კლასიკოსების საიუბილეო თარიღებზე: ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეოდ (1848-1893) საქ. პირველი პრეზიდენტის მწერლის, პოეტის ზვიად გამსახურდიას საიუბილეოდ (1938-1994). ქართველი პოეტის, იოსებ ნონეშვილის საიუბილეოდ (1918-1980) . ქართველი მწერლის, გურამ ფანჯიკიძის საუბილეოდ (1933-1097) . ქართველი მწერლის, საზ. მოღვაწის, რევაზ ჯაფარიძის საიუბილეოდ (1923-1999) .
4	ბიბლიოთეკა ყოველდღიურად ეხმაურება ყველა მნიშვნელოვან მოვლენას სურამის ბიბლიოთეკის FB გვედზე
5	მკითხველებთან ერთად წიგნის საჯაროდ კითხვის დღის აღნიშვნა.
6	პირველი საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეებმა (პედ. ია ბლიაძე) დედის დღე აღნიშნეს საზეიმო ვითარებაში.
7	სურამის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ 8 მარტის საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა (პედ. ლელა დანდურიშვილი).
8	„მხიარული დღე ბიბლიოთეკაში“, სტუმრები სურამის საბავშვო ბაღიდან. ზღაპრის კითხვა.
9	საუბარი 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებზე. ამ დღეს დაღუპულთა ფოტო-გამოფენა .
10	დედაენის დღის აღნიშვნა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების მონაწილეობით.
11	გასვლითი ღონისძიება სურამის საბავშვო ბაღში. ბიბლიოთეკარმა ირინა ლომიძემ პატარებს წაუკითხა თამარ გეგეჭკორის ზღაპარი,, თავნება ლობია''.
12	სწრაფი კითხვის კონკურსი სურამის ბიბლიოთეკაში. სურამის ოთხივე საჯარო სკოლის, ცოცხნარისა და ქემფრის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებს შორის.
13	სურამის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის, მარიამ ხიდირბეგიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.
14	სწრაფი კითხვის კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება გამარჯვებული ბავშვების დაჯილდოება.
15	შეხვედრა გორისა და სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორ მალხაზ ლომსაძესთან. ლექცია თემაზე :,თანამედროვე სამართლის აქტუალური საკითხები.
16	მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით მის დამსახურებაზე საუბარი.შეხვედრა მის შთამომავლებთან; ძეგლის შემკობა ყვავილებით.
17	ქართველი ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების დღის აღნიშვნა. საუბრები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.
18	ბავშვთა დაცვის დღე. ასფალტზე ხატვა.
19	ხაშურში დაარსებულ საბავშვო წიგნის ფესტივალის, ,,ასფურცელას'' ფარგლებში სურამის ბიბლიოთეკაში პატარა მკითხველებს შეხვდნენ საბავშვო მწერლები: მარიამ წიკლაური, ნინო ლომიძე, ნატო დავითაშვილი, ლალი ალფაიძე და მხატვარი ნანიკო ბურდული.
20	ბიბლიოთეკის მკითხველის, 10 წლის ბარბარე მურჯიკნელის ნამუშევრების (ნახატების) გამოფენა.
21	ამერიკელი მოხალისე, მერი დენიელსონი, 2023 წ. 1 ივლისიდან, ორი თვის განმავლობაში , ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 11.00 სთ., მსურველებთან, ატარებს ინგლისური ენის გაკვეთილებს
22	შეჯიბრი ჭადრაკის წრის ბავშვებს შორის სურამის ბიბლიოთეკაში

	ამერიკის კუთხე
1	იანვარი 26- აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებული ონლაინ ჩართვა „აფრო ამერიკელების როლი და წვლილი ამერიკის ისტორიაში“.
2	თებერვალი 27- ონლაინ ღონისძიება „შავი ზღვის რეგიონალური სპიკერ პროგრამის ფარგლებში. თემა: ახალგაზრდების როლი სამოქალაქო საზოგადეობის გაძლიერებასა და მომავლის მშენებლობაში.
3	მარტი 3- პროექტის „ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ, ვრეაგირებთ“- ფარგლებში მოწვეული ფოტოხელოვანის - ნათელა გრიგალაშვილის ლექცია-ვორქშოფი. თემა: ფოტოგრაფიის ტექნიკები, ფოტოპროექტის თემის დამუშავება, გადაღებული მასალის დამუშავება, რედაქტირება და საგამოფენოდ მომზადება.
4)	მარტი 11- შეხვედრა მწერალ დათო ტურაშვილთან. თემა: საქართველოს ევროპული კურსი და ლიტერატურა
5)	მარტი 15- ონალინ შეხვედრა სპიკერ შერილ თომასთან. თემა: „გენდერული ძალადობა“.
6)	მარტი 17- მოსწავლეებისა და მშობლების შეხვედრა ამერიკის კუთხეში განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელთან - დალი ხომერიკთან. თემა: საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, პროგრამები, კონსულტაციები.
7)	მარტი 23- ონლაინ ლექცია აშშ-დან, ჩართვა სმისონიანის ხელოვნების მუზაუმიდან. თემა: ამერიკელი მხატვარი ქალები.
8)	მარტი 22- მსოფლიო წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამერიკის კუთხის მოხალისეებმა თანატოლბს გაუზიარეს ონლაინ რესურსები ამ თემასთან დაკავშირებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით გამართეს მარათონი.
9)	მარტი 24- სოციალური მუშაობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამერიკის კუთხეში სოც. მუშაკებმა ჩაატარეს ღონისძიება. თემა: სოციალური მუშაობის ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში.
10)	აპრილი 6- პროექტის- „თანასწორობა მრავალფეროვნებაში“ ფარგლებში ჩატარდა გენდერული შეხვედრა თემაზე: გენდერული როლები და სტერეოტიპები. პროგრამა განხორციელდა USAID- ის მხარდაჭერით და ამერიკული კუთხის პარტნიორობით.
11)	აპრილი 11- აშშ-ს სტაჟიორმა მარიამ ქართველიშვილმა ჩაატარა პრზენტაცია თემაზე - „როგორ ავირჩიოთ პროფესია სწორად“.
12)	აპრილი 12- ონლაინ შეხვედრა აშშ-ს საჰაერო და კოსმოსის საერთაშორისო მუზეუმის სპიკერთან. თემა: კოსმოსური კოსტიუმების შექმნის ისტორია.
13)	აპრილი 13-- შავი ზღვის რეგიონის სპიკერ პროგრამის ფარგლებში ვებინარი: კლიმატის ცვლილებები, შავი ზღვის დონის რყევები და მათი გავლენა.
14)	აპრილი 19- საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ,, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ '' ორგანიზებით , ხაშურის ამერიკის კუთხეში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მედიაწიგნიერების შესახებ.
15)	აპრილი 20- შეხვედრა თემაზე: ლიდერობა , თვითშეფასება, წარმატებული თვითპრეზენტაციისა და ინტერვიუს ტექნიკები.
16)	აპრილი 27- შეხვედრა ამერიკელ სპიკერთან ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.
17)	აპრილი 25- მშვიდობის კორპუსის მოხალისემ დაიანა ჰიგუერამ ხაშურის ამერიკის კუთხეში ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ემოციების მართვა. ტრენინგის მონაწილეები იყვნენ ბავშვთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბის წევრები.
18)	აპრილი 22- 22 აპრილს შედგა პროექტის- ''Engineering and interior design'' - ის პირველი შეხვედრა .
19)	მაისი 5- ონლაინ შეხვედრა ამერიკის საელჩოს სპიკერ პროგრამით. თემა: როგორ აისახა გამოხატვის თავისუფლება მხატვრობაში. სპიკერი: ხელოვნების პედაგოგი- ჯოელ მიშო.
20)	მაისი 1-2. მედიაწიგნიერების 2 დღე: ლექციები, აქტივობები და ვორქშოფები.“საჭიროებების კვლევა თემში“.
21)	მაისი 10- ხაშურის ამერიკის კუთხეში, ახალგაზრდობას შეხვდა აშშ -ის საელჩოს სამართლის ატაშე - ჰეზერ ბერგი. მან ისაუბრა FBI -ის მუშაობის სტილის, უფლებამოსილების , სტრუქტურის , რესურსების შესახებ შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიურ რეჟიმში.
22)	მაისი 17- საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ '' და ხაშურის ამერიკის კუთხის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ევროკავშირი - -საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე „ევროპის დღე -2023“- ისფარგლებში, შეხვედრას გაუძღვა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ევროკავშირის საკითხებში - სოფო მიდელაშვილი.
23)	მაისი 16- თინეიჯერთა შეხვედრა თემაზე - სამაგიდო ინტელექტუალური თამაშები.
24)	შეხვედრა ფსიქოლოგ - მედეა ბარბარიანთან თემაზე: გენდერული სტერეოტიპები როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი. პროექტი ხორციელდება მომავალ ლიდერთა სკოლის (ELS) კურსდამთავრებულთა მიერ, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) -ის პროგრამის ,, ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა '' -ის ფარგლებში.
25)	ხაშურის ამერიკის კუთხეს ესტუმრნენ სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ინგლისურენოვანი კლუბის ,, Let's Speak English''- ის წევრები და მათი ხელმძღვანელი - მაკო გელაშვილი.
26)	ივნისი 2- ამერიკის კუთხეს ესტუმრნენ მკითხველთა კლუბი '' ექვსნი'' და მათი ხელმძღვანელი ნინო დოფიძე.
27)	ივნისი 5- შეხვედრა ამერიკის საელჩოს სპიკერთან- გალენ მარფ-ფალგრენთან. თემა: ველოსიპედის დღე.
28)	ფილმის ჩვენება : „დამალული ფიგურები“ (თემ: ქალები, რომლებმაც მეცნიერების განვითარებას შეუწყეს ხელი)
29)	ივნისი 9- დასკვნიტი შეხვედრა და შეჯამება პროექტის: „თანასწორობა მრავალფეროვნებაში“, რომელიც განხორციელდა - „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“- ფარგლებში. ეს გახლდათ მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც შეიქმნა მომავალ ლიდერთა სკოლის (ELS) კურსდამთავრებულთათვის, პროექტ “ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, USAID/Georgia-ის ფინანსური მხარდაჭერით.
30)	ივნისი 14- 2023 წლის 14 ივნისს ხაშურის ამერიკის კუთხეში, 14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, სსიპ საგანმანათლებლო სამსახურის ხაშურის სოციალური მუშაკებმა გამართეს შეხვედრა სკოლის მოსწავლეებტან და მშობლებთან, გაიმართა ამერიკული საოჯახო დრამის რეჟისორ სტივენ ჩბოსკის ფილმის - „საოცრების“- ჩვენება.
31)	ივნისი 16- ამერიკის კუთხეში ლექცია თემაზე : ფილოსოფია: ვის სჭირდება ეს? სპიკერი : აინ რენდის ცენტრი-საქართველოს თანადამფუძნებელი დავით როგავა, სტუმარმა ისაუბრა ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის აინ რენდის მოსაზრებებზე ფილოსოფიის შესახებ . კერძოდ , ფილოსოფიის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებასა და განვითარებაში.
32)	ივნისი 25 დან 30 ის ჩათვლით- ერთკვირიანი საზაფხულო ბანაკი -Access Summer School – 2023
33)	3 ივლისიდან ყოველ დღე თემის ელჩების პროექტის მონაწილეთა სამუშაო შეხვედრები 11 საათიდან 14:00 საათამდე.

	მთავარი ბიბლიოთეკა
1	1 თებერვალი - საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე - ,,ვკითხულობთ ხმამაღლა“
2	8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, ლიტერატურის გამოფენა, ლექცია თემაზე:,,დავით აღმაშენებელი“.
3	19 – 25 თებერვალი - ოკუპაციის კვირეული.
4	27 თებერვალი - შეხვედრა მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან თამარ შაიშმელაშვილთან.
5	2 მარტი - ლიტერატურის გამოფენა მირზა გელოვანის დაბადების დღესთან დაკავშირებით.
6	3 მარტი - დედის დღე, შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან.
7	10 მარტი - ლიტერატურის გამოფენა ლევან გოთუას დაბადების დღესთან დაკავშირებით.
8	21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეებთან და დაინტერესებულ პირებთან.
9	31 მარტი - - ლიტერატურის გამოფენა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით.
10	12 მაისი - ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მნიშვნელობა: ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღე.
11	14 მაისი - თამარობა, შეხვედრა თემაზე: ,, წმინდანად შერაცხული თამარი“.
12	30 მაისი - შეხვედრა ზეინაბ მეტრეველთან და გურამ ოდიშარიასთან - ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.
13	1 ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე - შეხვედრა თემაზე: ,,ბავშვთა უფლებები დღეს“
14	3 ივნისი - ტერენტი გრანელის დაბადების დღესთან დაკავშირებით ლიტერატურის გამოფენა.
15	4 ივნისი - აგრესიის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, შეხვედრა სოციალურ მუშაკებთან.
16	11 ივნისი - მორის ფოცხიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით ლიტერატურის გამოფენა.
17	შეხვერდა ფსიქოლოგ ქეთი ქურდაძესთან თემაზე:,,ეკრანდამოკიდებულება“
	ხცისის ბიბლიოთეკა
1	წიგნის საჯაროდ კითხვის დღე
2	პრეზენტაცია დავით აღმაშენებლის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ--
3	მისალოცი ბარათების დამზადება დედის დღესთან დაკავშირებით
4	პრეზენტაციის წარდგენა დედაენის დღესთან დაკავშირებით
5	„წაუკითხე ზღაპარი“ -სტუმრად საბავშვო ბაღში
6	დიადი მეფეები; პრეზენტაცია ალექსანდრე 1 დიდის შესახებ.
7	პრეზენტაცია „დიადი მეფეები“ -მეფე თამარის შესახებ.
8	დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.
9	მულტფილმის ჩვენება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან.
10	ღონისძიება „მსოფლიო ოკეანის პრობლემები“
11	ფილმის ჩვენება სკოლის მოსწავეთათვის -"ენოლა ჰოლმსი"
	საბავშვო ბიბლიოთეკა
1	ახალი წიგნების გამოფენა;
2	პროექტი „სტუმრად ბიბლიოთეკაში“ ხაშურის #1 საბავშვო ბაღის არსაზრდელები (აღმზრდელები ირინა ლომიძე და ირინა ხაჩიძე);
3	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე - 4 მკითხველის ვიდეო.
4	პროექტი „პატარა მხატვარი“- ნანუკა მთვარელიძის(#9სკოლა, მე-4 კლასი) ნახატების გამოფენა;
5	„სტუმრად ბიბლიოთეკაში“ ხაშურის #3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები(მენეჯერი ნანი ბლიაძე, აღმზრდელი ცირა ჯუღელი).
6	„სტუმრად ბიბლიოთეკაში“ სოფელ ოსიაურის #12 საბავშვო ბაღი, 4-5 წლიანთა ჯგუფი (აღმზრდელი თამარ მახარაშვილი);
7	წიგნის მიმოხილვა რუბრიკაში „თუ ჯერ არ წაგიკითხავთ“- ჯოის ლანკასტერ ბრისლის 2 წიგნი: „მილი-მოლი-მენდი“ და „მილი-მოლი-მენდის ახალი თავგადასავალი“;
8	წიგნის მიმოხილვა რუბრიკაში „თანამედროვე ქართველი საბავშვო ავტორი“ ქეთევან კვიტატიანის „მეგი პორპინსი და სხვა მოთხრობები“;
9	პროექტი „პატარა მხატვარი“- საბა მარნაძის (#9 სკოლა, მე-4 კლასი)ნახატების გამოფენა;
10	პროექტი „სტუმრად ბიბლიოთეკაში“ სურამის #2 სკოლის მე-4 კლასი(პედაგოგი მანანა ლომსაძე);
11	პროექტი „სტუმრად ბიბლიოთეკაში“ ხაშურის #7 სკოლის მე-2 კლასი (პედაგოგი ლია მეტივიშვილი);
12	წიგნის მიმოხილვა რუბრიკაში „ძველი წიგნების ახალი გამოცემები“- დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“;
13	შეხვედრა ავტორთან-მურად მთვარელიძის ახალი სამწიგნეულის „თანამედროვე უფლისწული“ წარდგინება;
14	პროექტი „ბიბლიოთეკის როლი სასკოლო ცხოვრებაში“- ბიბლიოთეკარების(მ.აღაჯანოვი, ნ.ქიმერიძე) სტუმრობა სოფელ ტეზრის საჯარო სკოლაში, ბიბლიოთეკისა და წიგნის ისტორიისა და დანიშნულების, ბიბლიოთეკის სერვისების, რესურსებისა და მიმდინარე პროექტების გასაცნობად.
15	პროექტი „სტუმრად ბიბლიოთეკაში“ ხაშურის #5 სკოლის მე-1 კლასი (პედაგოგი ხათუნა კურტანიძე);
16	პროექტი „სტუმრად ბიბლიოთეკაში“-სოფელ ვაყის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები(მენეჯერი მაია ნინიაშვილი);
17	საბავშვი წიგნის საერთაშორისო დღე და ანდერსენის დაბადების დღე 2 აპრილი- ანდერსენის წიგნების გამოფენა;
18	წიგნის მიმოხილვა რუბრიკაში „თანამედროვე ქართველი საბავშვო ავტორი“- საბავშვო მწერლისა და ფსიქოლოგის თამარ ადამიას წიგნის „შემეცნებითი ზღაპრები“ მიმოხილვა.
19	ანდერსენის წიგნების გამოფენის მოწყობა საბავშვო წიგნის დღესა და 2 აპრილის ანდერსენის დაბადების დღესთან დაკავშირებით -3 აპრილი;
20	დედაენის დღის აღნიშვნა-14 აპრილი;
21	კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის კონკურსები -აპრილის მეორე ნახევარი-მაისის პირველი ნახევარი.
22	კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება დ.ყიფიანის სკვერში.

კლარა გელაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი

სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩაზე, ბეტონის საფარის მოწყობის პროექტი ხორციელდება. სამუშაოების ღირებულება 102 494 ლარია. პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს.

აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ურთხვაში გზის მოასფალტების სამუშაოები. მოასფალტებასთან ერთად ეწყობა სანიაღვრეებიც. პროექტი, რომლის ღირებულებაც 487 778 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ბიჯნისშიც. უკვე დაგებულია ასფალტის პირველი ფენა. პროექტი სანიაღვრეების მოწყობასაც ითვალისწინებს. ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით მიმდინარე სამუშაოების ღირებულება 1 610 836 ლარია.

როგორც გოგოლის ქუჩა, ისე სოფლები: ურთხვა და ბიჯნისი სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მჭიდროდ დასახლებული უბნებია, სადაც მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით ადგილობრივებთან ერთად დამსვენებლები და სურამის სხვა ვიზიტორებიც ისარგებლებენ.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26)

ამა ჟამისა შედეგად გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა და სურვილით და მოწლედ ელმოდა გონებასა მათსა, რაითა ძღუნად მიეპყრა მე[უ]ფისა მის ცათასათუის მეორედ მოსლვასა დღესა მას საშინელსა და ზარისსახდელსა, და ვინათგან სოფელი ესე ცრუ, მტყუანი და უნამუსო და უმდგომო არის, მან მისი ბეგარი არ დაიკლო და ამის მიერ ვეღარა სრულ-იქმნა სურვილითა საწადელი მისი''.

ალექსანდრე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ იგი დავალებულია მისი აღმზრდელისაგან: „...ვითა ასრე მრავალფერად მათგან ჭირნახულსა მართებს და მრავალსა მათგან ჩუენზედა ზრდ[ა]სა და ვალდებულებობასა ვემართლებით...''.

მეფე ყველა საერო ვალდებულებისაგან ათავისუფლებს თბილელისძეებს: „...არავისრა საქმე უც ამა ჩუენგან შემოწირულთა თბილელასძეთა და მათსა მამულსა გუერდსა: არა [ა]ტენისა მპყრობელთა და პატრონთა, არ[ა] მოურავთა, არ[ა] ნაცვალსა და გზირსა, არ[ა] მოასილთა, არ[ა] მეკულუხეთა, არ[ა] პურისა, საკლავისა, თეთრისა და სხუისა სახმრისა მკრებელთა და არას გუარსა და არას ნათესავსა, კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა და მოსამსახურეთ[ა]. და გუითავისუფლებია და გუითარხნებია ყოვლისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან, ვითა პირველ კათოლოკე საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისათუის შეწირულსა და მოხსენებულსა მართებს და მერმე პატრონსა და მის სულკურთხეულისა ბები[ი]სა ჩუენისა რუსასათვის სააღაპედ შეწირულსა მართებს. აგრე არავისრა საქმე უც და ესრეთ შეიწირე ჩემ მიერ მცირე ესე ნაღუწი, ვითარცა პირველ მწულილნი იგი''.

მაღალ შეფასებას აძლევას რუსას მოღვაწეობას ივანე ჯავახიშილი: „...ნათლად ჩანს, რომ რუსას თავისი გაზრდილი შვილიშვილისათვის, მეფე ალექსანდრესათვის,ღრმა სიყვარული და დიდი და გულწრფელი პატივისცემა ჩაუნერგავს, როგორც დედობრივი მზრუნველობისა და ჭირნახულობისათვის, ისევე სწავლა- აღზრდისათვის. უეჭველია,რუსა არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მხნეობისა და ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი სახელმწიფოებრივ-აღმაშენებლობითი უნარითა და თაოსნობით დაჯილდოებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. თემურ-ლენგისაგან განადგურებულს საქართველოში პორველს მას გამოუჩენია ნამდვილი მამაცური მხნეობა: მრავალგვარი გაჭირვებისა და დაბრკოლებისდა მიუხედავად, ყველასათვის ქვეყნის განახლებისა და აღმაშენებლობის გამამხნევებელი მაგალითი მიუცია. იმ დროს, როდესაც ქვეყანა, „უსჯულოსა თემურის'' ველური შემოსევის შემდეგ, „უნუგეშინისცემოდ განსრული'' იყო, საქართველოს დიდებული საყდრები და ციხე-ქალაქები დანგრეული და მრავალზე უმრავლესი სოფლები გადაბუგული იდო, თანაც „ მუდმივი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა", - აი ასეთ დროს მას, დედაკაცს, უკვე კარგა ხანს ხანშიშესულს გული არ გაუტეხია და ბარბაროსთა ხელით დანგრეული ქართული ხელოვნებისა და ცხოველი სასოების მშვენიერი ძეგლის აღდგენას შესდგომია. ჭაბუკური აღტაცებით მიუყვია ხელი მას ამ დიადი საქმისათვის: „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა". ის უკვე ოცნებობდა ალბათ გატაცებით იმ ბედნიერ წამზე, როდესაც დიდი შრომის დაგვირგვინებას ეღირსებოდა, მაგრამ მუხთალმა ბედმა და წუთისოფელმა, რომელიც ასე „ცრუ და მტყუანი, უნამუსო და უმდგომო არის", რასაკვირველია, „მან მისი ბეგარი არ დაიკლო" და ეგოდენ დიადი და მშვენიერი საქმის დამთავრება არ დააცალა".

კიდევ უფრო საყურადღებოა ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები:

„რუსას ფასდაუდებელ ღვაწლს ისიც შეადგენს, რომ მას თავისი შვილიშვილისათვის, ალექსანდრე მეფისათვის - პირადი მაგალითით თუ სიტყვით და აღზრდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმაშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგავს. ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის მთელს მიმზიდველობასა და დიდს ღირებულებას საქართველსოათვის მისი ფართო გეგმითა და გამჭვრეტელობით წარმოებული აღმაშენებლობა, თანაც დაუღალავი და მიზან-შეწონილი მუშაობა შეადგენს მტრისაგან განადგურებული ქვეყნისა და ერის აღსადგენად. უძვარფასესი ნიჭი და უნარია, როდესაც ერს თუ კერძო პიროვნებას განსაცდელისა და გაჭირვების, სიკვდილისა და ნგრევის დროს აღორძინებისა და აღმაშენებლობის წყურვილი და ხალისი არ დაუკარგავს, ეს საღი საზოგადოებრივი სხეულისა და ადამიანის ძლიერი მაჯისცემა და ცხოველმყოფელი დაუშრეტელი სიცოცხლის დამამტკიცებელია. ეს წყურვილი და გრძნობა ალექსანდერე მეფისათვის როგორც ირკვევა, მის ბებიას, დიდ ქართველს მანდილოსანს, რუსას ჩაუნერგავს".

ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათია - ალექსანდრე დიდის დედა „ახალი ქართლის ცხოვრების" თანახმად გიორგი მეფის თანამეცხედრეა: „ესუა ცოლად ამირეჯიბს ქუცნას ასული ნათია".

იგივეს აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც წერს, რომ „შემდგომად მეფის კონსტანტინეს წილ დაჯდა მეფედ ძმისწული მისი და ძე გიორგი მეფის ალექსანდრე".

ამ ცნობებში ეჭვი შეიტანა ივ. ჯავახიშვილმა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ნათია კონსტანტინე პირველის მეუღლეა. დიდი მეცნიერი ეყრდნობა ალექსანდრე დიდის შვილის - გიორგი მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის 1447 წლის 25 დეკემბრის მიცემული შეუვალობის სიგელს.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ალექსანდრე მეფის მამიშვილობის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი თავის ისტორიაში ამბობს, რომ ის იყო კონსტანტინე მეფის „ძმისწული" და „ძე გიორგი მეფისა". სახელოვან ქართველ ისტორიკოსსაც, როგორც ეტყობა,ამ საკითხის შესახებ პირდაპირი და უეჭველი ცნობები არ ნქონია და ამის გამო, თავის აზრს შენიშვნაში ასე ასაბუთებს: „ჰმოწმობს ბარათიანთ გუჯარი,რომელ ესე ალექსანდრე ძე არს გიორგი მეფისა"-ო. მასაშადამე,ვახუშტის მტკიცება სწორედ ამ საბუთზე ყოფილა დამყარებული".

დიდი ისტორიკოსი ,ამის შემდეგ, სვეტიცხოვლისადმი 1447 წლის შეუვალობის სიგელზე დაყრდნობით, წერს: „ეს დასკვნა თვით ალექსანდრე მეფის შვილის გიორგი მეფის მკაფიო და უეჭველს განცხადებას სრულებით ეწინააღმდეგება. მცხეთის საკათალიკოზო მამულების 1447-48 წ. თავის გუჯარში ია ამბობს: „ჟამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთა-მეფისა, გიორგისსა და მეფობასა... შინა მისსა მოსრულიყო" თემური საქართველოში. მერმე მშვიდობიანობა დამყარდა საქართველოში და „შემდგომად ამისსა ღირს ყო ღმერთმან მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა მოღებად",რომელმაც სვეტიცხოვლის მცხეთის საყდარი განაახლაო...'', ირკვევა, რომ ის გიორგი მეფეთ-მეფე რომლის დროსაც თემურის შემოსევა მომხდარა, მეფე ალექსანდრეს შვილის გიორგი მეფის „პაპის ძმა" ყოფილა. აქეთგან ცხადია, რომ თვით ალექსანდრე გიორგი მეფეთა მეფის შვილი კი არ ყოფილა, არამედ ძმისწული. მას შემდგომ, რაც ქუცნა ამირეჯიბის მიერ დაწესებულს აღაპებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა ორის გარდა უკვე გამოკვეული გვაქვს, ალექსანდრეს მამის ვინაობის გამორკვევაც შეიძლება. იმ აღაპებში მოხსენიებული იყვნენ რუსა, შემდეგ მეფე ალექსანდრე, მეფე კონსტანტინე, დედოფალი ნათია, გიორგი მეფე და სულ ბოლოს რუსუდან მეფე. ამ პირთაგან რუსა ალექსანდრე მეფის ბებიაა და დედოფალ ნათიას დედა. მეფე ალექსანდრესა და მის დედას, დედოფალ ნათიას, შუა მოხსენიებული და მოქცეული კონსტანტინე ვინღა უნდა ყოფილიყო? თავისთავად იბადება აზრი, რომ კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს მამა, ხოლო ნათიას თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ალექსანდრე მეფის მამის ძმად გიორგი მეფე ყოფილა. აქაც, ამ აღაპების სიაში კონსტანტინე-ნათიას ხსენებას გიორგი მეფის სახელი მისდევს და შესაძლებელია იგი სწორედ ალექსანდრე მეფის მამა კონსტანტინე მეფის ძმა იყოს. მართალაც, როგორც ვიცით, გიორგი მეფეთა - მეფეს, ბაგრატ მეფეთ - მეფის ძეს, რომელთა დროსაც, თემურის საზარელი შემოსევა მოხდა საქართველოში, ჰყავდა ძმა კონსტანტინე, რომელიც შემდეგ მეფედ დაჯდა. მაშასადამე, ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფე კონსტანტინე მეფისა და ნათია დედოფლის შვილი და მართლაც გიორგი მეფეთა-მეფის, ბაგრატიონის ძის, ძმისწული უნდა ყოფილიყო''.

ისტორიკოსს, თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად, მოჰყავს 1407 წლის ერთი სიგელის დასაწყისი, რომელშიც ნათქვმია:

„სახელითა ღმრთისათა კონსტანტინესაგან ბაგრატიონისასა, ძისა ბაგრატისა, და ძეთა ჩუენთა სასურველთა ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგისაგან ნებითა ღ- თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა მეფეთა, შარვანშა და შანშე (სიც) და ყოვლისა აღმოსავლეთისა... ხელმწიფედ თუითმფლობელმპყრობელთასა''-ო. მაშასადამე, აქ უკვე პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ალექსანდრე, რომელიც 1408 წ. ჯერ კიდევ ბატონიშვილი იყო მხოლოდ და რომელსაც, როგორც თვით ალექსანდრეს... სიგელებითგან ჩანს, მართლაც ორი ძმა - ბაგრატი და გიორგი ჰყოლია, სწორედ კონსტანტინე მეფის ძე და, ეტყობა, პირმშო შვილი ყოფილა'' - დაასკვნის მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი დედოფალ ნათიასთან დაკავშირებით წერს: „ქუცნა ამირეჯიბის სიტყვითგან ჩანს, რომ დედოფალ ნათიას დიდხანს ვაჟიშვილი არ მისცემია და ამის გამო „დედოფალი ნათია ვით უბედო ყოფილიყო''. როგორც მაშინ მიღებული იყო, იგი ძლიერს სალოცავებსა და ხატებს ევედრებოდა და სხვადასხვა აღთქმას სდებდა, რომ მათი ოჯახი უძეობით არ გადაშენებულიყო. ბოლოს ნატვრა აუსრულდა კიდეც: „შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღვთისმშობელსა და მიეცა ძე",რომელსაც დედ-მამამ ალექსანდრე დაარქვეს. დედოფალი ნათია თავის თავს იმდენად გაბედნიერებულად და შეწყალებულად გრძნობდა, რომ მოვიდა „კახეთით'' და ულუმბის ღვთისმშობლის მონასტერს „მოუტანა საქონელი ურიცხვი'' და შესწირა. ეტყობა ნათია დედოფალს კახეთში მოულოგინნია და, ალექსანდრე ბატონიშვილი დაბადებულა თუ არა, აღთქმა მაშინვე აუსრულებია და შესაწირავი მიურთმევია ხატისათვის''.

ისტორიკოსი თედო ჟორდანია იმოწმებს „სამების ტყავის „სულთა მატიანეში" მე- XV საუკუნის ხელით ჩაწერილ აღაპს",რომლის თანახმადაც ნათია დედოფალი მონაზონია. ჩანაწერი ეხება ალექსანდრე მეფეს, მის დედას ნათიას და მის ცოლს თამარს: „სულსა მის ყოვლისა არმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის ხელმწიფედ ფლობით მპყრობელსა მეფეთა შორის წარჩინებულსა ალექსანდრეს შ[ეუნდო]ს ღ[მერთმა]ნ. სულსა დედისა მათისა ნათია - ყოფილისა ნინოს შ[ეუნდო]ს ღ[მერთმა]ნ. სულსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს შ[ეუნდო]ს ღ[მერთმა]ნ. ძენი მათნი მშვიდობით დაიცვას ღ[მერთმა]ნ".

ქუცნას ძე რამინი გვხვდება XV ს-ის 40-50-იანი წლების საბუთებში. თედო ჟორდანიას მიერ 1442 წლის ქვერმოთ მოთავსებული ანდერძის წიგნის მოწმეა რამინ გაბელიძე, მცხეთის ამილახორი.

1451 წელს რამინ გაბელიძე ამირეჯიბის სახელოს ფლობს, ხოლო მისი ძმა ჰასამი მცხეთის ამილახორია. საბუთი რომელიც ამის შესახებ ლაპარაკობს, წარმოადგენს სვეტიცხოვლისადმი თვით ამირეჯიბი რამინ გაბელაძის შეწირულობის წიგნს. მასში ნათქვამია:

„ქ(ართლი)სა კ(ა)თალიკ(ო)ზსა და პატრიარქსა დ(ავი)თს, ჩუენ გ(ა)ბელისძეთა, ამირეჯიბმან რამინ და თქუენისა საყდრისა ამილახორმან და ძმამან ჩემმან საჰამ(მ)ა, შემოვსწირეთ და მოგახსენეთ კრცხილოანს ერთი გლეხი ლალასძე მისითა მამულითა უკლებლად, ერთი გლეხი ერგნეთს - ჯოხ(ა)სძე ორითა ვენახითა, და ერთი ვენახი სხვუავე შენი და ველი, მიწად სამისა დღისა''.

ამავე საბუთის თანახმად საჰამ გაბელიძეს ცოლად ჰყავს ქავთარაძის ასული. აღსანიშნავია, რომ 1451 წელს, გიორგი VIII წყალობის განახლების სიგელს აძლევს ამირეჯიბ რამინ გაბელიძეს და მის შვილებს: „გქონდეს ესე თემნი და ქვეყანანი, ციხენი და სიმაგრენი, მონასტერნი და სასაფლაონი, სოფელნი და აზნაურიშვილები, მათითა მამულითა საქართველოს და ლიხთიმერით - თქვენ ჩვენთა პაპათა და მამათაგან შეწყალებულთა და ყოველსა საქმესა ზედა ჩვენთა დიდად ერთგულთა და თავ-დადებით ნამსახურთა. ჩვენთა თანა აღზრდილ - შეზრდილთა და ჩვენისა მორჭმისა და უზეშთაედ ყოფისათვის მომჭირნე და თავ-გამომეტებულთა, ჩვენგან პატივ-ცემულთა და ბედნიერისა სახლისა ჩუენისაგან გაზედაებულთა, თავადთა, ვეზირთა და დარბაზისერთა შიგან საჩინო-გამორჩეულთა, ხელ-დიდთა და ლაშქარ-ქეშიკთა, გაბელისძესა ამირეჯიბს რამინს და თქვენთა შვილთა: ამირეჯიბსა შანშეს, ამირეჯიბს ქუცნას, გიორგის და აბესალამას, ყოვლისა დაბადებულისა კაცისაგან მოუდევარ-მოსარჩლელად და შემოუცილებელად, დღესა რასაც მქონებელნი ხართ, დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია, ულუმბა მისითა შესავლითა, რაცა ლიხთამერით არის და ანუ ლიხთიმერი. ალი და ალის ციხე, ნაბახტევით მისითა შესავლითა. კვერცხობი, ახალდაბა, ყორისი მისითა აზნაურისშვილებითა, წვიმოეთი ორნივე, ალექსიძენი მათითა მამულითა, თიღვა საყდრითა მისითა შესავლითა, ოქონის საყდარი მისითა შესავლითა, [საღოლაშენს] ჩიტალაძე მათითა მამულითა, ბაღათარისშვილი მათითა მამულითა, მწნილასძე მათითა მამულითა, ძმობილაშვილი მათითა მამულითა, და ფლევითა, წვიმედისძე ნულითა, ბრეძა, ატოცი, ავლევი, მცხეთის ჯვარი, წყვდელისი, ქალეთი, წორბისი, ყორნისი, ეკნეთი, აბისი, ჯღუარასძე, ქვენა სტკოცა, პილწათ უბანი. სამნე, ვარიანი, სომანეთი, ვაყა, გომნი, რიყის უბანი, დუმაცხო, ლიხთიმერით: რატისშვილი მისითა მამულითა, ალავისძე მისითა მამულითა, ჭალა მისითა შესავლითა, მრავალძალი მისითა შესავლითა, ბაქრასძენი მათითა მამულითა, წყაროელი მათითა მამულითა, საღმრთო მისითა შესავლითა, გვარნა და ტყირბული მისითა შესავლითა, გვიბოძებია და მოგვიხსენებია ესე მამულნი, მონასტერნი, სოფელნი და ესე აზნაურისშვილები მათითა მამულითა, სრულიად და უკლებლად და ამა ერთობილისა მამულებისა გასათვალავითა და შესავლებითა მათითა, მთითა და ბარითა, და გორს მანოზური დანიბეგა და დღეს რასაც მქონებელნი ხართ, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, ტყით, სანადიროთა, სთიბითა, საყანითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, სახმარითა და უხმარითა, მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულიად და უკლებელად და არავინ იყოს და არცა ვინ მკადრე გექმნას მოსარჩლე შემოცილებად და არას ჟამსა გამოსულისა და გარდასხვაებისათვის''.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ხელოვნება -

მარიამ ბუღაძე: - მუსიკოსი, მუსიკის შესრულების დროს, თავადაა მუსიკა...

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, დახვეწილი ტექნიკა, ბგერის საოცარი შეგრძნება, მიზანმიმართულობა და მთავარი - შრომისმოყვარეობა... ასე ახასიათებენ მარიამ ბუღაძეს ხელოვანთა წრეში, მუსიკოსს, რომელიც ჩვენს ქალაქში გაიზარდა და დღეს ევროპის სცენებს იპყრობს და რომლისთვისაც ხაშური დღემდეა ულევი სიხარულის ქალაქი.

- მარიამ, შენი ბიოგრაფიის შტრიხები...

მოგესალმებით. პირველ რიგში, დიდი მადლობა ამ ინტერვიუსთვის. იმედია ჩემი ამბები მკითხველს თუნდაც მცირე სტიმულს მისცემს.

მე ვარ მარიამ ბუღაძე, მევიოლინე. დაბადებული და გაზრდილი საქართველოს შუაგულ ქალაქ ხაშურში. რადგან ჩემი ბებია - ლიანა მუმლაძე მევიოლინეა, დედა - თეა ინასარიძე კი პიანისტი, მუსიკალური განათლების მიღება სკოლაში შესვლამდე, 3 წლის ასაკში მათი წყალობით დავიწყე. 6 წლიდან კი, ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის პარალელურად, თბილისის მუსიკალურ სკოლა - ,,ნიჭიერთა ათწლედში'' ჩავირიცხე, საქართველოს ფილარმონიის სოლისტის -პროფესორ როდამ ჯანდიერის კლასში. საკმაოდ რთული იყო განათლების მიღების მიზნით ორ ქალაქს შორის, მინიმუმ კვირაში ორჯერ მოგზაურობა, მაგრამ მთელი ჩემი სანათესაო ჩემს გვერდით იდგა, მათი უდიდესი ხელშეწყობით და დახმარებით შევძელი ამ რეჟიმში, 9 წლის მანძილზე, სწავლა. შემდეგ კი, საბედნიეროდ, გამოჩნდა ქალბატონი მანანა დოიჯაშვილის ინიციატივით დაარსებული სპეციალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებში მცხოვრები ნიჭიერი ბავშვების მოძიებას და მათი მუსიკალური განათლების (და ცხოვრების) სრულად დაფინანსებას კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სემინარიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სკოლა ერთადერთია საქართველოში, რომელიც გაერთიანებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან, რაც ბავშვებს, რომლებიც სერიოზულად არიან დაინტერესებული მუსიკის შესწავლით და მიზნად აქვთ ამ პროფესიის არჩევა, საშუალებას აძლევს მიიღონ ზოგადი და მუსიკალური განათლება ერთ შენობაში, ინტეგრირებული სწავლებით.

სემინარიის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც, როდამ ჯანდიერთან სწავლის პარალელურად, მქონდა ბედნიერება მესწავლა საქართველოს ბევრ გამოჩენილ არტისტთან, სახელმწიფო კვარტეტის წევრებთან, სიმფონიური ორკესტრების წევრ მუსიკოსებთან. ბაკალავრიატის ბოლო, მე-4 წელი, ერასმუს პროგრამის დაფინანსებით, გავიარე უნგრეთში, ბუდაპეშტის ლისტის აკადემიაში, სადაც ჩემი პედაგოგი იყო, ერთ-ერთი წამყვანი ორკესტრის - „კონჩერტო ბუდაპეშტის“ პირველი ვიოლინო - ჟოფი კორნეი. მინდა აღვნიშნო, რომ ეს წელი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ გარდამტეხ პერიოდად ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მნიშვნელოვანია მუსიკალური აზროვნების მრავალფეროვნება, რასაც ნამდვილად განაპირობებს სხვადასხვა მუსიკალური კულტურის მუსიკოსებთან ურთიერთობა, მასტერკლასების მიღება ან კონცერტებზე დასწრება.

ამ საოცარი გამოცდილებით დავბრუნდი საქართველოში და სწავლა გავაგრძელე კონსერვატორიის სამაგისტრო პროგრამაზე. რადგან ერასმუს პროგრამა ასე ბედნიერად მომევლინა, კიდევ ერთხელ ვცადე ბედი. ამჯერად კი ავსტრიაში ვენის მუსიკისა და სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტმა (MDW) მიმიღო. ვერ აღვწერ, რამდენად ღირებული იყო თითოეული გაკვეთილი რაინერ კუხლთან - მევიოლინესთან, რომელიც ვენის ფილარმონიული ორკესტრის პირველი ვიოლინოს პოზიციას 45 წლის მანძილზე იკავებდა. ნამუშევარი აქვს ისეთ ცნობილ დირიჟორებთან, როგორებიც არიან ლეონარდ ბერნშტეინი, კლაუდიო აბადო, კარლოს კლაიბერი, რიკარდო მუტი და სხვანი. მანამდე ალბათ მარტო თუ ვიოცნებებდი, რომ ერთი მასტერკლასი მიმეღო მსგავსი რანგის მუსიკოსისგან, ახლა კი, მე ვყოფილიყავი მისი სტუდენტი - დაუჯერებლად ჟღერდა. სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ბევრი რამ შეზღუდული იყო, მაგრამ უდავოდ ღირდა იქ გატარებული ყოველი წუთი.

ამჟამად ვცხოვრობ ბუდაპეშტში, ახლახანს დავამთავრე მეორე მაგისტრატურა ლისტის აკადემიაში. მყავს მოსწავლეები და ვცდილობ, რაც შეიძლება აქტიურად ჩავერთო სხვადასხვა პროექტსა თუ კონცერტში.

რა თქმა უნდა, ჩემი პროფესიის გარდა არის აქტივობები, რომლებსაც თავისუფალ დროს ვუქცევ თავს. მიყვარს ხელნაკეთ ნივთებზე მუშაობა, ხატვა, მოგზაურობა, სხვადასხვა კულტურის გაცნობა, არქიტექტურის შედევრების ნახვა. ჩემთვის ძალიან საინტერესოა კულტურების მრავალფეროვნება. 2022 წლის ზაფხულში მომიწია სამხრეთ კორეაში მოგზაურობა, კორეული სიმფონიური ორკესტრის პროექტისთვის. ეს იყო ჩემი პირველი ვიზიტი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ევროპის შემდეგ, აქ ნამდვილად მივიღე კულტურული შოკი.

რაც უფრო მეტს ვმოგზაურობ, მით უფრო ვრწმუნდები ერთ რამეში. არ არის გადაჭარბება, რომ საქართველოს აქვს უკიდეგანო პოტენციალი, საოცრად დიდი კულტურა, ტრადიციები, მრავალფეროვანი ბუნება, ნაყოფიერი მიწა, წყალი და კლიმატი. უბრალოდ, ჩვენი ქვეყანის განვითარებისთვის ჩვენ უნდა ვიშრომოთ, ქართველებმა, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

- მარიამ, შენი ბავშვობა, მე ყოველთვის ინსტრუმენტით ხელში მახსოვხარ....

ჩემი თავი ვიოლინოს გარეშე არ მახსოვს. ჩემი ბავშვობის ყველა მოგონება მუსიკასთან და ხელოვნებასთან ასოცირდება. ჩემი ბაბუ - ომარი ინასარიძე არაჩვეულებრივი მხატვარი იყო. ჩემს ბიძაშვილებსაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ ხელოვნებასთან, ამიტომ ეს სფერო მუდმივად ჩემს გარშემო ტრიალებდა. ბებომ და დედამ დიდი პასუხისმგებლობა აიღეს საკუთარ თავზე, რომ პატარა ასაკიდანვე მოეცათ მუსიკალური განათლება. დღეს-დღეობით მე თავად ვასწავლი ვიოლინოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც და უფრო მეტად ვხვდები, რამხელა შრომა, მოთმინება, წვალება და ენერგია არის ჩადებული ჩემი, როგორც მევიოლინეს აღზრდის პროცესში.

ყოველმხრივ ძალიან კარგად მახსენდება ბავშვობის წლები. მართალია მაშინ სტომატოლოგობაზე და ბალერინობაზე ვოცნებობდი, მაგრამ კარგია, რომ გზადაგზა აზრი შევიცვალე.

- ბავშვობის მთავარი ამბავი, ბავშვობის შთამბეჭდავი მთავარი ამბავი....

მთელი ბავშვობა ვერ ვაანალიზებდი, თუ რამდენად შთამბეჭდავი იყო ის ყველაფერი, რაც მუსიკას და ვიოლინოს მოჰქონდა ჩემს ცხოვრებაში. იმდენად ჩვეულებრივი იყო, რომ განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავდი. ამიტომ კონცერტებმა, კონსერვატორიის თუ სხვადასხვა დარბაზებში, მაშინ ვერ მომიტანა დიდი აღფრთოვანება. რა თქმა უნდა, ახლა რამდენჯერაც არ უნდა დავუკრა ნებისმიერ სცენაზე, ყოველ ჯერზე ვგრძნობ ისეთ აღტაცებასა და სიხარულს, თითქოს პირველად ვიდგე სცენაზე. მაგრამ მაშინ, ჯერ კიდევ ბავშვური აზროვნებით ვერ დავაფასე თითოეული შესაძლებლობა.

სამაგიეროდ ნამდვილად საოცრად აღიბეჭდა ჩემს გონებაში შემდეგი შემთხვევა: სამების ტაძრის ქვედა დარბაზში ვიყავით, საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ ნახატების კონკურსზე, სადაც მონაწილეობას ვიღებდი. ძალიან დიდ დარბაზში ასევე გიგანტური სვეტები თვალსაწიერს ბლოკავდა. უეცრად გაისმა საოცარი გალობა, მამაკაცთა გუნდის ხმა, მაგრამ თითქოს ეს იყო უზარმაზარი გუნდი, მთელი გარემო მოიქცა შთამბეჭდავ ჰარმონიებში, თითქოს დარბაზის თითოეული კუთხე - კუნჭული მღეროდა. თავი არაამქვეყნიურ განზომილებაში ვიგრძენი. ვფიქრობდი, თუ საიდან მოდიოდა ეს უზარმაზარი ხმა, ვეძებდით სად იყო გუნდი, ან სად დაეტია ამდენი მომღერალი... მხოლოდ რამდენიმე წუთში აღმოვაჩინეთ, რომ უბრალოდ, სამების გუნდის ხუთ წევრს რეპეტიციის გავლა განუზრახავს სადღაც, დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში...

- მუსიკა.... მუსიკის როლი შენს ცხოვრებაში... რატომ მუსიკა, ვიოლინო....

მუსიკას როლი არ აქვს, ის უბრალოდ მთლიანად მოიცავს ჩემს ცხოვრებას. ჩემი ცხოვრების ყველა დეტალი მუსიკასთან არის დაკავშირებული, რადგან ჩემი ცხოვრება არსებობს მუსიკის შიგნით. ძალიან მიყვარს ზოგადად, ხელოვნება, შემოქმედებითი პროცესი, ახალი გზების, გამომსახველობების პოვნა, თავისუფლება და ემოციები. ჩემი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე აუცილებლად ხელოვნებას ავირჩევდი ადრე თუ გვიან. საბედნიეროდ, ჩემი ოჯახის მრავალი წევრი ხელოვანია და ამიტომ დიდი ხანი არ დამჭირდა ეს გზა მეპოვნა.

- რატომ ვიოლინო? ამაზეც ბედმა გამიღიმა. რეგულარულად ვუყურებდი, როცა ბებო ჩემს ბიძაშვილს ვიოლინოს გაკვეთილებს უტარებდა და ბავშვურად, გულუბრყვილოდ დავინტერესდი. რა თქმა უნდა, მაშინ არ მესმოდა ამ ინსტრუმენტის კომპლექსურობის ნატამალი, მაგრამ ბებომ მოახერხა არ დაეკარგა ჩემი ინტერესი და ნელ-ნელა უზადო პედაგოგიური მეთოდებით და უნარებით, სათუთად გააღვივა და განავითარა.

პატარა ასაკიდან დამოუკიდებლად ცხოვრება, რთული იყო პროფესიაში გზის გაკვლევა...

რა თქმა უნდა, ყველა სფეროს აქვს თავისი სირთულე, პროფესიის დაუფლებას სჭირდება დიდი შრომა, მაგრამ პროფესიონალად ჩამოყალიბება განსაკუთრებით დროში გაწელილი პროცესია ხელოვანებისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად ადრეულ ასაკში დაიწყებს ბავშვი ინსტრუმენტთან შეხებას. განსაკუთრებით ვიოლინო, საკმაოდ რთული და კომპლექსური ინსტრუმენტია. წლები სჭირდება მხოლოდ ნორმალური ბგერის გაჟღერების ათვისებას. უკვე შემდეგ მოდის ტექნიკაზე და სირთულეებზე მუშაობა.

პირადად მე, 12 წლის ასაკიდან, მარტო დავდიოდი ხაშურიდან თბილისში მუსიკის გაკვეთილებზე, 15 წლის ასაკში კი მომიწია დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, საცხოვრებლად თბილისში გადასვლა, სემინარიის პროექტის საშუალებით. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდის განვითარებისთვის, თავიდანვე მიეჩვიოს პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებას, გამოსავლების ძიებას და დამოუკიდებლად ფიქრს. რა თქმა უნდა, ამ ასაკში ოჯახის და ახლობლების ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ ხარ და მათი იმედი ყოველთვის გაქვს. მაგრამ

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

- ხელოვნება -

მარიამ ბუღაძე: - მუსიკოსი, მუსიკის შესრულების დროს, თავადაა მუსიკა...

(დასასრული)

ის დეტალები, რაზე ფიქრიც გიწევს ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრების დროს, მაინც ავითარებს ისეთ უნარ-თვისებებს, რასაც, ოჯახში ცხოვრების დროს, იშვიათად და ზოგჯერ ვერასდროს ვერ შეითვისებ.

- ხასიათის შტრიხები....

ვფიქრობ, რომ მაქვს არტისტული და შემოქმედებითი ხასიათი. მიყვარს მშვიდად, მაგრამ ინტენსიურად ნაბიჯების გადადგმა ჩემთვის სასურველი მიზნისკენ. ვარ მგრძნობიარე დეტალებისადმი, ასევე ემოციური რაც ალბათ ყველა ხელოვანის დამახასიათებელი თვისებაა.

ჩვენ, ხელოვანები არ ვქმნით ემოციებს, თავად ვიქცევით ემოციებად. ჩვენ უნდა გამოვცადოთ ემოციათა ფართო პალეტი, უნდა გავიაროთ ყველანაირ განცდაში და ჩვენი ხელოვნების საშუალებით გამოვასხივოთ გარემოში. შემსრულებელი მუსიკის შესრულების დროს თავად არის მუსიკა. ეს არის განსხვავება სხვადასხვა დონის მუსიკოსს შორის. ზოგი უკრავს მუსიკას, ზოგი კი თავად იქცევა მუსიკად და ეს მსმენელისთვისაც კი იმდენად ორგანული გრძნობაა, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს.



- მთავარი მიღწევა შენს ცხოვრებაში...

მიღწევაა ალბათ ის თითოეული წუთი, როცა ჩემმა შესრულებამ მსმენელს რაღაც აგძნობინა, დააფიქრა. ყოველივე ეს - სწავლა, უნივერსიტეტი, აკადემია, ხელოვნებაში არის უბრალოდ გამოცდილების მიღების ხერხები. საბოლოოდ, ხელოვანი არა დიპლომით, არამედ თავისი შემოქმედებით ფასობს. შემოქმედება ყოველთვის ინდივიდუალურია და სწორედ ეს ხდის ნამუშევარს უნიკალურს. ინდივიდუალიზმის პოვნა და განვითარება კი ერთადერთ ადამიანს - საკუთარ თავს შეუძლია. ამიტომ ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი საკუთარი თავის შეცნობისკენ არის მთავარი მიღწევა ჩემთვის.

- პირადი ამბები...

ამჟამად, ჩემი დრო სრულად დაკავებულია ჩემს საქმიანობით, ოჯახით, მეგობრებით და სხვადასხვა აქტივობებით. ვცდილობ, უკეთ დავგეგმო ჩემი სამომავლო მიმართულება, შევისწავლო საკუთარი თავი და გარემო.

- შენი ქალაქი შენს ცხოვრებაში...

უზომოდ მიყვარს ხაშური. მთელი ჩემი ბავშვობა საქართველოს შუაგულში მდებარე ამ პატარა ქალაქს უკავშირდება. ჩემთვის ყველაფერი აქ დაიწყო და ყველა მოგონების სათავე მიდის ჩემი ბავშვობის სახლთან, სურამულასთან, სკვერთან, ღორინამკალის

ხედთან, მე-6 სკოლის ფანჯრიდან დანახულ თოვლიან ეზოსთან, საღამოობით ფალიაშვილის ქუჩაზე მოთამაშე ბავშვებთან. ხალხი - უზომოდ ნიჭიერი, თბილი. ფიზიკურად არა, მაგრამ ჩემი ფიქრებით ხაშურში ვცხოვრობ. სულ თვალს ვადევნებ სიახლეებს, ახალი წრეების, ხატვის სკოლების, მუსიკალური სკოლის, ბენდების, მოცეკვავეების, სპორტსმენების, მოსწავლეების წარმატებებს და უზომოდ მახარებს ჩვენი ქალაქის წინ გადადგმული თითოეული ნაბიჯი.

ვიცი,ბევრს შეიძლება გაეღიმოს, მაგრამ პესიმიზმის გამო დავნებდით, ვეღარ ვხედავთ ქალაქის პოტენციალს. არადა ჩვენ, ხალხს შეგვიძლია დიდი წვლილი შევიტანით საკუთარი ქალაქის განვითარებაში.

ვისურვებდი, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ავიღოთ საკუთარ თავზე ქალაქზე ზრუნვის პატარა პასუხისმგებლობა, მოვუფრთხილდეთ და წინ წავწიოთ იგი.

სამომავლო გეგმები...

ამჟამად, დროებით მინდა პაუზა ავიღო სწავლისგან და სრულად გადავიდე მოსწავლეებთან მუშაობაზე, ასევე აქტიურ საკონცერტო ცხოვრებაზე. სამომავლოდ ჩემი პრიორიტეტია, რაც შეიძლება მეტად ვიყო ჩართული საშემსრულებლო პროექტებში საქართველოში და საზღვრებს გარეთ.

ამ ზაფხულში უკვე დაგეგმილია ერთი პროექტი, ქართული მუსიკის საღამო ბუდაპეშტში. ინიციატორი ჩემი ერთ-ერთი უნგრელი მეგობარი მუსიკოსია, რომელიც საოცრად გატაცებულია ქართული კულტურით, მუსიკით, ენით. კონცერტის სახელწოდებაა „ქართულად“, სადაც შესრულდება აზარაშვილის, ყანჩელის და სხვათა ნაწარმოებები. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ძალიან საამაყოა ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ასე აქტიურად ავრცელებს ქართულ კულტურასა და მუსიკას.

გარდა ამისა, ასევე ძალიან მინდა მომავალში მქონდეს მჭიდრო კომუნიკაცია ქართველ ახალგაზრდა მევიოლინეებთან, მივცე მოტივაცია და გავუზიარო გამოცდილება.

- შენი საოცნებო შესრულება, საოცნებო საკონცერტო დარბაზი...

სიმართლე გითხრათ, საოცნებო საკონცერტო დარბაზი ჯერ-ჯერობით არ მაქვს. ბედნიერი ვარ ნებისმიერ სცენაზე, რამდენადაც მაქვს აქტიური საშემსრულებლო ცხოვრება. მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ხელოსნების რომელიმე ინსტრუმენტზე (სტრადივარიუსი, გვარნერი, ამატი...) დაკვრაზე კი ნამდვილად ბევრჯერ მიოცნებია. ძალიან მინდა შევიგრძნო ის ბგერა, ამდენი საუკუნის განმავლობაში ლეგენდად რომ არის ქცეული.

- შენი გეგმები თუ იკვეთება შენს ქალაქთან რაიმე სახით...

ნებიემიერი გეგმა ან იდეა, რაზეც კი ვფიქრობ იწყება შეკითხვით: - შემიძლია ამ იდეის ხაშურში განხორციელება? თუ პასუხი უარყოფითია, ვცდილობ, ვიფიქრო, რა შეიძლება შეიცვალოს იმისთვის, რომ განხორციელდეს მსგავსი პროექტი. ხოლო თუ პასუხი დადებითია, ვცდილობ ჩავეჭიდო იდეას და, შეძლებისდაგვარად, განვახორციელო. სამწუხაროდ, ამ ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან იშვიათად მიწევს ხაშურში ყოფნა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მომავალში მექნება საშუალება ხშირად ჩამოვიდე და დავგეგმო მრავალი მუსიკალური პროექტი ჩვენი პატარა ქალაქის არაჩვეულებრივი სამუსიკო სკოლის (და არამარტო) მუსიკოსებთან ერთად, რომლებიც ნამდვილად არიან მოკლებული იმ დაფასებას, ოვაციებს და აქტიურ საშემსრულებლო ცხოვრებას, როგორსაც იმსახურებენ.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.